17/09/2019

როგორ უნდა მოიპოვოს ადამიანმა სიყვარული?

გვესაუბრება მცხეთის წმინდა იოანე-თორნიკე მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენია ეფემია (ჩირგაძე):

-როგორ მოიპოვოს ადამიანმა სიყვარული, რომელსაც წმინდა თეოფანე “დაკარგულ სამოთხეს” უწოდებს? წმინდა მაქსიმე აღმსარებელი გვასწავლის, ყველა სათნოებას გონება ღვთის სიყვარულთან მიჰყავს, მაგრამ მნიშვნელოვანი წმინდა ლოცვაა. წმინდა იოანე შახავსკოეს აქვს ძალიან ლამაზი, თხოვნა უფლისადმი, სადაც ის ითხოვს სიყვარულის ნიჭის მიმადლებას, რომლითაც მხოლოდ გულით წმინდა ადამიანები ჯილდოვდებიან ღვთისგან. აი, ეს ლოცვაც: “ღმერთო სიყვარულია შენი სახელი, მასწავე მე იგი ჭეშმარიტი და სიკვდილზე უფრო ძლიერი”. მეორე, რაც აუცილებელია სიყვარულის მოსაპოვებლად და მასზედ თვით მაცხოვარმა მიგვითითა, ესაა სარწმუნოების საქმეები: “უკეთუ გიყვარ მე, მცნებანი ჩემი დაიმარხენით”, ანუ ღმერთისადმი ჩვენი სიყვარული მის მცნებათა აღსრულებაში, უკიდურეს შემთხევაში, მათი აღსრულების სურვილსა და მცდელობაში გამოიხატება. ხოლო მოყვასისადმი სიყვარულთან დაკავშირებით კი თქვა: “ესე არს მცნებაი ჩემი, რათა იყუარებოდეთ

ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარეთ თქვენ”. მან კი ისე შიყვარა, რომ ჩვენ ცოდვილთათვის ჯვარს ეცვა. “ძნიად ვინმე მართლისათვის მოკვდის, ხოლო კეთილისთვის, ვინ უწყის, ნუუკუე და იკადროსცა ვინმეს სიკვდილი” (რომ 5-7). მაცხოვარი სიყვარულის უმაღლესი გამოხატულებისკენ მიგვითითებს და თითქოს გვაქეზებს კიდეც ამგვარი დიადი გრძნობის და შესაბამისი საქმის მოხვეჭისაკენ. ძლიერ და თავდადებულ სიყვარულზე, რა თქმა უნდა, ძნელია ვინმეს ამბიცია გვქონდეს, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ვეცადოთ, ჩვენი სიტყვით და საქმით მოყვასის სამსახურს თუ ვერ შევძლებთ, რისი მოვალენიც ვართ, ნუ ვავნებთ მაინც ერთმანეთს. ალბათ იცით, საქართველოს მონასტრების სამი კანონი, რომელთაგანაც მესამე გვეუბნება: “ყოველ ადამიანში დაინახე მხოლოდ სიკეთე, მიმართე მას კეთილი სიტყვით, თუ ეს არ ძალგიძს, ნურაფერს ეტყვი”. დღეს ძალიან განვიცდით ყველანი სიყვარულის ნაკლულევანებას და ამიტომაც, ფაქტიურად საქმეებიც არა გვაქვს შესაბამისი. მონასტერში განსაკუთრებით საჭიროა სიყვარულის ქონა, რაც პირველ რიგში ერთმანეთისადმი სულგრძელ, მომთმენ დამოკიდებულებას გულისხმობს. მოციქულის სიტყვები “ურთიერთას სიმძიმილი იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი”. მგონი, ყველაზე ცხადად მონასტერშია საგრძნობი და რეალიზებადი. ჩვენ წესად გვაწვს, ყოველი დილა დავიწყოთ ლოცვით: “ღმერთო, შემაძლებინე დღეს იმაზე მეტად მიყვარდეს ჩემი დები, ვიდრე გუშინ მიყვარდა”. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან უფალმა მოყოს ყური თვისი და ისმინოს ლოცვა ჩვენი, მაგრამ ვერ აღიწევა და ვერ მიეფინება ღვთის წინაშე. ამიტომაც მონასტერში განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევთ ერთმანეთთან დამოკიდებულებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთის წინაშე შეუცდომლად ვცხოვრობთ, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი გაუგებრობის შემდეგ შენდობის თხოვნის, აღსარების და სინანულის საშუალებით სინდისს ვანთავისუფლებთ სიმძიმისაგან და სხვა დროისთვის ვფრთხილობთ, ისევ გული არ ვატკინოთ ერთმანეთს და ვცდილობთ, გვახსოვდეს პავლე მოციქულის სიტყვები: “სიყვარულითა შეუორგულებელითა, განეშორენით ბოროტსა და შეეყვენით კეთილსა. ძმათმოყვარებითა ურთიერთასრს მოწლედ მოსურნე იყვენით პატივისცემასა ურთიერთსა უსწრობდით”. (რომ 12,9-11). Aასევე, “ყოველი სჯული ერთითა სიტყვითა აღესრულების: შეიყვარო მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი. ხოლო უკეთუ ურთიერთას იკბინებოდით და შეიჭამებოდით, იხილეთ, ნუუკვე ურთიერთას განილინეთ.. ნუმცა ვართ მზვაობარ, ურთიერთას მაბრალობელ, ურთიერთას მოშურნე”. (გალატ 5:14-15, 26).

ალბათ, ზედმეტი არ იქნება თუ ძმათმოყვარების რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: ორი ბერი ერთად ცხოვრობდა და მათ შორის უთანხმოება არასოდეს ყოფილა. ერთმა უთხრა მეორეს, მოდი, ჩვენც წავიჩხუბოთ სხვებივითო. ძმამ უპასუხა, არ ვიცი, როგორია უთანხმოებაო. პირველმა მიუგო: აი მე აგურს დავდებ შუაში და ვიტყვი: ეს ჩემია. შენ კი მიპასუხებ, არა, ჩემია და ეს იქნება დასაწყისი. ასეც მოიქცნენ. ერთმა მათგანმა თქვა, ეს ჩემიაო. მეორემ უთხრა არა ჩემიაო. მაშინ პირველმა ვეღარ გაუძლო და დათანხმდა: კი, ძმაო, შენია, აიღე და წადიო. ასე დაასრულეს და ვერ შეძლეს ჩხუბი.

ასევე ერთი ძმა სნეულ ბერს ემსახურებოდა. ავადმყოფს სხეული ეხრწნებოდა და მყრალი სისველე მოდიოდა. გულის სიტყვამ უთხრა ძმას: გაიქეცი, რადგან ამ მყრალი სუნის ატანა არ შეგიძლიაო. ძმა შეეწინააღმდეგა თავის ფიქრებს, აიღო თიხის ჭურჭელი, სნეულის სითხე შეაგროვა და როდესაც წყურვილს გრძნობდა სვამდა. სულის შემძვრელი თავდადება და სიყვარულია, არა? ბოლოს ისე მოხდა, უფალმა ძმის ღვაწლი, რომ იხილა, ნარეცხი სუფთა წყლად გადააქცია და ბერიც განკურნა. როგორც ვიცით, მონაზვნის მთავარი საქმე გულის გაწმენდაა, რომელიც საკუთარი ძალისხმევითა და სულიწმინდის მადლის მოქმედებით, საბოლოოდ სიყვარული ანუ ღვთის სამკვიდრებლად უნდა გადაიქცეს. აქამდე კი ძალიან ძნელი გზაა გასავლელი, გზა ბრძოლისა და შეუპოვრობის. ეს კი ყველაზე ძნელი და მძიმე ბრძოლაა, რადგან ჩვენი გული ძალიან ვიწრო და მშრალია. იქ მხოლოდ მე ვეტყვი და ჩემი ნება სურვილი, იქ ჩემი მოყვასისთვის ადგილი არაა და მითუმეტეს, მისი ინტერესებისთვის. ჩემი გული ჩემია და სწორ ედ ეგ არის პრობლემა. ვიდრე გავაცნობიერებდეთ, რომ გული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი ყველა ღვთივბოძებული ჩვევა-უნარი მოყვასის სამსახურში უნდა იდგეს. “კაცად-კაცადმან, ვითარცა მიიღო მადლი, ეგრეთვე ურთიერთას ამსახურებდით მას.” მართალია ამ ყველაფრის რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკული გატარება რთულია, მაგრამ ჩვენი ვალია, შესაძლოა მთელი სიღრმით ვერ შევძლოთ საკუთარი თავის რეალიზება მოყვასის სასიკეთოდ, მაგრამ უნდა ვეცადოთ მაინც. იმედი მაქვს, მცდელობა საქმედ ჩაგვეთვლება, რადგან თუ მთელი არსებით გვენდომება და ვეცდებით კიდეც გვერდით მდგომის სიყვარულს, ღმერთი ამას არ დაგვიკარგავს. პირიქით, ზეგარდამო შეწევნასაც გამოგვიგზავნის ამ საქმეში წარსამატებლად და განსამტკიცებლად.

იცით, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებენ ჩვენი ცხოვრების წესს, სწორედ მოყვასისადმი სიყვარულის საქმეების აღსულების თვალსაზრისით, მათ მიაჩნიათ, რომ მონაზვნებმა უარყვეს წუთისოფელი, შესაბამისად საზოგადოება და მათდამი სიყვარული. ეს კი ასე არ არის. მართალია ჩვენ უარვყავით სოფელი, მაგრამ ზურგი არ შეგვიქცევია საზოგადოებისათვის, რადგან ჩვენ მცნებად გვაქვს მათზე ლოცვა, ამის შესახებ კარგად წერს ბერი პაისი ათონელი: “მონაზვნის მიზანი არც ხელსაქმის დაბეჯითებით კეთებაა და არც ბევრი ფულის დაგროვება ღარიბების დასახმარებლად, ვინაიდან ეს სულიერი დაცემაა. მაგრამ მონაზონს შეუძლია თავისი ლოცვებით გვალვის დროს მთელი სამყაროს ბეღლები აავსოს. მონაზვნები არ ტოვებენ მონასტერს და არ მიდიან ერში, რომ მოინახულოს ავადმყოფი, მიუტანონ მას ფორთოხალი ან სხვა რამ სანუგეშოდ (რაც, ჩვეულებრივ, ერისკაცთა საქმეა და რასაც მათგან ითხოვს ღმერთი). მონაზვნები ლოცულობენ ყოველი სნეულისათვის, რათა მათ მიეცეს სულიერი და ხორცილი ჯანმრთელობა. მონაზვნები არც პატიმართა მოსანახულებლად დადიან, რადგან თავად არიან ნებაყოფლობითი პატიმრები იმ დიდი მოშურნეობის გამო, რომელიც აქვთ ქრისტესათვის. მონაზვნები ლოცულობენ და ევედრებიან უფალს, რომ ის სამოთხისეული სიხარული, რომელსაც გრძნობენ, მიანიჭოს ამქვეყნიურ საპატიმროებში გამომწყვდეულ ძმებს. ამქვეყნიური პატიმრების

გარდა, მონაზვნები ეხმარებიან იმ გარდაცვლილ ძმათა სულებს, რომლებიც არა ათი ან ოცი წლით, არამედ უფრო მკაცრად, მარადიულად არიან დასჯილნი და უფრო მეტად საჭიროებენ შემწეობას. მონაზვნები ადამიანებს ამბიონიდან სახარების ქადაგებით კი არ ეხმარებიან, რომ განათლდეს დიდი და პატარა, არამედ თავად ცხოვრობენ სახარებით. მოკლედ რომ ვთქვათ, მონაზვნები არიან არა უბრალოდ ფარნები, ქალაქის ქუჩებს რომ ანათებენ (ადამიანებმა რომ არ წაიბორძიკონ), არამედ - კლდეებზე აღმართული შორეული შუქურები, თავისი ნათებით გზას რომ უჩვენებენ ამა სოფლის ხომალდებს, რომელთა წყალობითაც მეხომალდეები გზას იკვლევენ ზღვის სიღრმიდან, დანიშნულების ადგილს რომ მიაღწიოს".

აბა, მითხარით ყოველივე ამის შემდეგ, საზოგადოებისადმი მონაზვნების უსიყვარულობაზე შეიძლება საუბარი? განა ჩვენ სოფლის წიაღში დიდი პასუხისმგებლობა და ვალდებულება არ გვაკისრია? საზოგადოების უმეტესობამ თავადაც არ იცის ჩვენი ბერმონაზონთა თავი გალავნად შემოივლო და სანთელ-საკმევლად დაიდგინა. მინდა მღვდელმთავარ ანტონ სუროჟელის მიერ ერთ-ერთ ქადაგებაში მოყვანილი ამბავი მოგითხროთ. როცა მეუფე ანტონი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო ვარლაამის მონასტერს ესტუმრა. იქ მან შეამჩნია მოხუცი კაბოსანი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი კეთილკრძალულებით. იგი რ 50 წელი ცხოვრობდა მონასტერში. ბერად კი არ იღკვეცებოდა. მომავალი მეუფე მას სენაკში ეწვია და ცოტაოდენი გულითადი საუბრის შემდეგ შეკითხვა შეჰბედა, თუ რატომ არ იღკვეცებოდა ბერად, როცა უკვე ფლობდა გარკვეულ ბერულ ღვაწლს. მოხუცმა კაბოსანმა უპასუხა: მრთალია, შვილო, მე მონასტერში დავბერდი, ვშრომობ ბერებივით, ვმარხულობ ბერებივით, მაგრამ ბერი მაინც არა ვარ, რადგან არ მიყვარს ბერებივით ეს სოფელი. მონაზვნობა, ხომ წუთისოფლისთვის სიყვარულით და ცრემლით ლოცვაა, მე კი სწორედ ეს, ყველაზე მთავარი არა მაქვსო. ვფიქრობ, აქ კომენტარი ზედმეტია, მხოლოდ წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებს დავამატებ: "ენასა ღათუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყვარული არა მაქვნდეს, ვიქმენ მე ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელი ხმობედ. და მაქვნდეს ღათუ წინასწარმეტყველებაი და უწყოდი ყოველი საიდუმლოი და ყოველი მეცნიერებაი და მაქუნდეს, არა-ვე-რაი ვარ. და შე-ღათუ ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ხორცნი ჩემნი და დასაწველად, და სიყვარული არა მაქვნდეს, არარაივე სარგებელ არ ჩემდა" (1 კორ 13:1-3).

და ბოლოს, ვუსურვებ უპირველესად ჩემს თავს, რადგან ძლიერ განვიცდი ამის ნაკლულევანებას და შემდეგ სხვებსაც, სივრცეს და სიღრმეს გულისას. ვეცადოთ გვიყვარდეს, რადგან "აღმასრულებელი სჯულისა სიყვარული არს". (რომ 13,10).

karibche.ambebi.ge